



ნასპამი და წასახის
დამრღვეპი
მძღოლუბისთვის საჭარიმ
სანქსიები იზრდება

A2



დაუბრანდეს თხილისი
მტკვარს

A4



ისლამისტური აზხოხი
თუ სახალხო
პროტესტი

A5

www.24hours.ge

24საათი

ყოვალდღიური

გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 9 ივნისი, 2005 წელი. №128 (988)

ფასი 50 თეთრი

ყურადღება!

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024;
8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

იურიდიული ოფისი „გაპი“
და გაზეთი “24 საათი”

ანორმირებად პრინტს,
რომლის მიზანსაც
ნაპროექტის
მოსახლეობისათვის
სამართლებრივი
დახმარება.

A7

აჟინდი

	9/06	10 /06	11 /06
თბილისი	30	30	33
ქუთაისი	33	34	38
ბათუმი	32	32	37
სოხუმი	31	31	35
ფოთი	33	33	37
თელავი	29	29	32
ზუგდიდი	35	35	38
გორი	28	29	31
ახმეტა	29	30	32
ჭიათურა	31	33	35
ბაგრა	30	29	30
სამტრედიი	34	36	40

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი
ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8200
ევრო	2.2415
ბრიტანეთი სტერლ.	3.3425
რუბლი	0.0641

A		B	
აგაბი	A2	რეპი	B2
აგაბი	A3	რეპი	B3
საზოგადოება	A4	სკოლტი	B4
უცხოეთი	A5	სკოლტი	B5
კონსოლი	A6	კონსოლი	B6
სამართალი	A7	ტანდარი	B7
პროექტი	A8	სხვადასხვა	B8

მოქალაქე მისაზღვრები და დაუცველი მოქალაქეები

აზერბაიჯანელი მისაზღვრეები საქართველოს მოქალაქეებს ფულის გამოძალვის მიზნით იტაცებენ

ზვიად რაძაძე
ახალიწი

საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე ადამიანთა გატაცების შემთხვევებმა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში უკვე სამი სახე მიიღო. ამ დრომდე აზერბაიჯანის მისაზღვრეების ტყვეობაში რჩება ლავდების რაიონის სოფელ მაწიმის მკვიდრი თემურ ძმანაშვილი, რომლის ოჯახმაც, ჯარიმის სახით, 250 დოლარი თვეზე მეტია, გადაიხადა. რამდენიმე დღის წინ გაიტაცეს, აგრეთვე, ამავე სოფლის მკვიდრი ღურმიშხან ნატროშვილიც.

პირველი შემთხვევა არ არის, როცა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე საქართველოს მოქალაქეებს იტაცებენ. ამ მხრივ, განსაკუთრებით სახიფათო მდგომარეობა ლავდების რაიონის სოფელ მაწიმშია, რადგან ეს სოფელი საზღვართან ახლოს მდებარეობს. უკანასკნელი წლების მანძილზე, აზერბაიჯანელი მისაზღვრეების მხრიდან ადამიანთა გატაცების ათეულობით შემთხვევა დაფიქსირდა. ადგილი ჰქონდა 24 წლის ახალგაზრდის მკვლელობასაც.

ბაგრაძეა A3 ბაგრაძე



მომხმ ხალხის ეს მშვიდობიანი მიტანა უკუარაღებობის გამო, სახიფათო ადგილად იქცა.

კონფლიქტის მოწინააღმდეგე პასუხისმგებლობის აღება სჭირდება

“დიდი მოლოდინის გამართლება”

“საქართველოს სახელმწიფომ უნდა გადადგას პირველი თამაში ნაბიჯი და სამხრეთ ოსეთში 1989-1992 წლებში განვითარებული მოვლენების შეფასებისას თავისი წილი პასუხისმგებლობა იტვირთოს,” - საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები გუშინ ასეთ დასკვნამდე მას შემდეგ მივიდნენ, როცა სასტუმრო “ქორთიარდ მარიოტში” ქართულ-ოსურმა კავშირმა “იბერი-ირონმა” ხელისუფლებისთვის შესატყვისებული პროექტის - “სამხრეთ ოსეთში 1989-1992 წლების მოვლენების შეფასების” პროექტის პრეზენტაცია-განხილვა მოაწყო.

პირიო თუზაძე

“იბერი-ირონის” ინიციატივა შეკრების მოწინააღმდეგე უმრავლესობამ მოიწონა, თუმცა დისკუსია მაინც შედგა. ექსპერტ საშა რუსეცკის აზრით, აუცილებლად უნდა მოხდეს კონფლიქტის მხარეების დეფინიცია. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ კონფლიქტში ჩართული იყვნენ გარკვეული ძალები, რომლებიც ეს-კალაციით იყვნენ დაინტერესებუ-

ლნი. რუსეცკის აზრით, ოსები და ქართველები შეიძლება მხოლოდ მოდერნ მხარეებად განვიხილოთ და ცალსახად განვაცხადოთ, რომ ეს არ იყო ეთნიკური კონფლიქტი ქართველებს და ოსებს შორის. რუსეცკის ამგვარ პოზიციას სავსებით იზიარებს კონფლიქტოლოგი გოგი ხუციშვილი. იგი დამატებით, ხაზგასმით დასძენს: “საქართველოს სახელმწიფომ უნდა გაიზაროს თავისი წილი პასუხისმგებლობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონფლი-

ქტში მონაწილე დანარჩენ მხარეებს თავიანთი წილი პასუხისმგებლობა ეხსნებათ.”

“იბერი-ირონის” პროექტის ავტორები, ეთნიკურად ქართველი კახა ბებიაშვილი და ეთნიკურად ოსი ხათუნა ჭაბაშვილი აცხადებენ, რომ მათი ინიციატივის მთავარი არსი და ხიბლი არის ქართული მხარის გამბედაობის ინიცირება, ანუ ქართული სახელმწიფოს მიერ ოსებთან დიალოგისთვის, მათთან შესარიგებლად პირველი ნაბიჯის გადადგმა.

გუშინდელ შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ საკითხზე სამუშაოდ სპეციალური საპარლამენტო კომისია შეიქმნას, რომელშიც აქტიურად იმუშავენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე სპეციალისტები და ექსპერტები.

კონფლიქტოლოგ გოგი ხუციშ-

ვილის აზრით, სამხრეთ ოსეთის მოვლენების შეფასება ძალზე დიდი ხნის წინათ უნდა მომხდარიყო. გოგი ხუციშვილის შეფასებით, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება დიდი შეცდომა იყო. “შევარდნაზე გამსახურდიას პოლიტიკას აკრიტიკებდა, - შენიშნავს ხუციშვილი, - თუმცა ამ საკითხთან მიმართებაში ისიც რადიკალური იყო.” კონფლიქტოლოგის თქმით, შევარდნაძის ქმედებაში იყო შიში და ზედმეტი სიფრთხილე, რომ მისი ნაბიჯები ვინმეს კრიტიკის საგანი არ გამსდარიყო. “ამ კაი ბიჭობას” შევნირა სახელმწიფო ამოცანა კონფლიქტის მოგვარებისა,” - ასევე გოგი ხუციშვილი.

ბაგრაძეა A3 ბაგრაძე

ესპანეთში აღმოჩენილი საქართველო



B3

ლიტვის არ გზუარს

უბრალოდ. გვინდა,
მისავეთ წარმატებული
გავხდეთ

ბიორბი ასანიშვილი

ევროკავშირსა და ნატო-ში შესვლას ლიტვამ, ისევე როგორც დანარჩენმა ორმა ბალტიურმა ქვეყანამ, 11 წელიწადი მოანდომა. ჩვენ მზად ვართ, გავიზაროთ ამ პროცესში დაგროვილი დადებითი და უარყოფითი გამოცდილება. ჩვენი შეცდომები თქვენთვის გაკეთილი იქნება და მათი თავიდან აცილება შეგეძლებათ,” - განაცხადა ლიტვის სეიმის თავმჯდომარემ არტურას პაულაუსკასმა საქართველოს პარლამენტის სპიკერთან ერთად გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

“თქვენი ნამდვილად არ მშურს, მაგრამ, ამასთან, ძალიან მინდა, საქართველომაც წარმატებით მოახერხოს შედარებით მოკლე დროში ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანება,” - სტუმრის მონოლოგს აგრძელებს ნინო ბურჯანაძე. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ხაზგასმით საუბრობს იმ თანადგომაზე, რომელსაც საქართველოს ფორუმებზე საქართველოს დედეგაციას უწევს ხოლმე ბალტიელი მეგობრები ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა თუ რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხში.

საქართველოსადმი ოფიციალური ვიზიტიდან მხარდაჭერა, არამარტო საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ ორმხრივ ურთიერთობებშიც იგრძნობა. ამის მაგალითად პრესკონფერენციაზე ნინო ბურჯანაძემ გაიხსენა ლიტველი სპეციალისტების როლი სამხედრო აკადემიის კურსანტების მომზადების საქმეში, აგრეთვე, ის დახმარება, რომელსაც ლიტვის სეიმი უწევს საქართველოს პარლამენტს.

ბაგრაძეა A2 ბაგრაძე

მთავრობა ისევ ფორსიაურულ რეჟიმშია

თამარ ხორაბაძე

გუშინ მთავრობა “დადგენილი გრაფიკის შესაბამისად” შეიკრიბა და, ტრადიციულად, დახურულ კარს მიღმა საკმოდ ბევრ საკითხზე იმსჯელა. თუმცა, ერთ-ერთი მთავარი თემა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქვეყანაში შექმნილი ფორსმაჟორული სიტუაცია, ანუ წყალდიდობები გახლდათ. საერთო ჯამში კი, ჟურნალისტთა სამსჯავროზე გუშინ მთავრობამ სამი ძირითადი თემა გამოიტანა და რამდენიმე აქცენტზე გააკეთა:

დსთ-ს რეფორმირებაზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა მთავრობის სხდომაზე რამდენიმე დღის წინათ თბილისში გამართულ დსთ-ს სამიტზე ისაუბრა.

მისი თქმით, სამიტზე საქართველოს საშუალება მიეცა, სხვა ქვეყნის პრემიერებთან ერთად, ეკონომიკური, მათ შორის, ვაჭრობისა და ინვესტიციების მოზიდვის საკითხი განეხილა. გაფორმდა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელთაც მთავრობა რამდენიმე დღეში ამოქმედებს.

ზურაბ ნოღაიდელმა ყურადღება დსთ-ს მომავალზეც გაამახვილა. მისი აზრით, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ დსთ-ს ქვეყნები, მათ შორის, საქართველოც, თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობის რეალიზაციას.

“ჩვენთვის ეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უკავშირდება. შესაბამისად, ეს ჩვენი მოქმედების აქტიურობის ქვაკუთხედი იქნება, მათ შორის - დსთ-შიც,” - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ბაგრაძეა A6 ბაგრაძე

კონფლიქტის მოწასრიბაბას პასუხისმგაბლოზის აღება სჭირდება

პირვალლი ბავროდირას

“24 საათის” შეკითხვაზე - დღევანდელი ხელისუფლების პოზიციას როგორ შეაფასებდით? - ხუციშვილმა უპასუხა: “ამჟამინდელი ხელისუფლება ცდილობს, კონფლიქტი პოლიტიკური ნების პირობებში მოაგვაროს. ამ ზამთარს, საქართველოს პრეზიდენტმა სტრასბურგში ძალიან კარგი განცხადება გააკეთა, მაგრამ მე მიკვირს, რომ ამდენი ხნის გასვლის შემდეგ ამას არანაირი ქმედება არ მოჰყოლია. არადა, ჩვენ დღეს უკვე აქტიურ ნაბიჯებს უნდა ვხედავდეთ.” პრეზენტაციის მონაწილეებმა დღევანდელი ხელისუფლება შარშან ზაფხულში სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენების გამოც გააკრიტიკეს. პროექტის ავტორების თქმით, საქართველოს პრეზიდენტის მიერ სტრასბურგში გაკეთებულმა განცხადებამ ოს მოსახლეობაში უარყოფითი განწყობა გამოიწვია. “საქართველოს ხელისუფლებას ეს წინადადება ჩვენთვის ოფიციალურად არ წარმოუდგენია. მას დავვინებოთ, ინტერნეტის საშუალებით გავცანით. თანაც, ინტერნეტით სარგებლობა ყველას არ შეუძლია,” - ოსების მიერ გამოთქმულ ამ უკმაყოფილებაში არის ქვეშაბრეტე-

პირვალლი ბავროდირას

“ერთი სატელეფონო ზარიც საკმარისია, რომ რამდენიმე წუთში ვილნიუსიდან ჩვენთვის სასურველი კანონპროექტი მოგვანოდონ,” - შენიშნავს ნინო ბურჯანაძე.

არტურას პაულასკას, როგორც ჩანს, სამშობლოში დაბრუნებისთანავე, თბილისში კიდევ ერთი დოკუმენტის გამოგზავნა მოუწევს: როგორც გუშინ “24 საათი” წერდა, ქართველი პარლამენტარები ძალიან დაინტერესა იმ საკანონმდებლო ზაზან, რომელიც ლიტვას გააჩნია სტრატეგიული ობიექტების პრივატიზების სფეროში.

“საქართველო არ დაუშვებს, რომ პრივატიზების შემდეგ, სტრატეგიული ენერგობიექტებში ერთი რომელიმე სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში, ჩვენ უკვე აღარ ვიქნებით სრულყოფილი დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამიტომ, მართალია, ამ სფეროში ლიტვის კანონმდებლობის სიტყვა-სიტყვით გადმოწერას არ ვაპირებთ, მაგრამ ჩვენი მეგობრების გამოცდილებას აუცილებლად გაითვალისწინებთ,” - დასძენს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

თავის მხრივ, არტურას პაულასკასი კმყოფილებით აცხადებს, რომ ლიტვამ კონკრეტული დახმარება გაუწია საქართველოს გამოთქვს და გამოხატეს სურვილი მომავალში ერთობლივად შეთანხმებული მუშაობისა. მიუხედავად კრიტიკული შენიშვნების არსებობისა, ყველა ერთხმად მიესალმა “იბერ-იონის” ინიციატივას. ებრტის ფონდის წარმომადგენელმა ია თიკანაძემ ასეთი პროექტის გაჩენის ფაქტს “დიდი მოლოდინის გამართლება” უწოდა.

ნასვამი და წასახის დამრღვევი მძღოლეხისთვის საჭარიომო სანქსიიხი იზრდება

ნასვამი, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლებისთვის სანქციები დაწესდება. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა გუშინ პირველი მოსმენით განიხილა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში წარდგენილი შესაბამისი ცვლილებები, თუმცა კომიტეტმა გუშინ კანონთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიიღო.

შსს-ს ინიციატივით, მოძრაობის წესების დამრღვევ მძღოლებს მართვის მოწმობები მხოლოდ ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში უნდა ჩამოართვეთ. ამ ინიციატივას ითვალისწინებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხეების შესახებ კანონპროექტი, რომელიც მთავრობის საპარლამენტო მდინაზმა პავლე კუბლაშვილმა გუშინ იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტს წარუდგინა.

კანონპროექტის მიხედვით, საგზაო წესების დარღვევის შემთხვევაში, საპატრულო პოლიცია მძღოლს მართვის მოწმობას ადგილზე აღარ ჩამოართმევს, არამედ დაჯარიმებს, თანხა კი დაჯარიმებულმა მძღოლმა ადგილზე ან 15 დღის ვადაში ზანკში უნდა გადაიხადოს. კანონპროექტის მიხედვითვე, თუ მძღოლი ჯარიმას ამ პერიოდში არ გადაიხდის, მაშინ თანხა გაიზრდება, რაც 2 თვის განმავლობაში უნდა დაიფაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მძღოლს მართვის მოწმობა ჩამოერთმევა.

რაც შეეხება ჯარიმის ოდენობას, პრეზიდენტის საპარლამენ-



ლიტვისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეების ერთობლივი პრესკონფერენცია.

“მომავალში, საერთაშორისო არენაზე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში კიდევ უფრო აქტიურად დაგვიჭერთ მხარს,” - პპირდება ლიტვის სეიმის ლიდერი თავის ქართველ კოლეგას.

გუშინდელ პრესკონფერენციაზე ნინო ბურჯანაძემ და არტურას პაულასკასმა სინაულით აღნიშნეს, რომ ორ ქვეყანას შორის კონომიკური ურთიერთობები ძალიან დაბალ დონეზეა და საუბრუნვა წელნაღში, სულ რაღაც, ოთხ მილიონ ევროს შეადგენს. სტუმარსაც და მასპინძელს-

აც მიაჩნიათ, რომ ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი რეზერვი არსებობს და საქართველოსა და ლიტვას შეუძლიათ, სავაჭრო-ეკონომიკურ საკითხებშიც წარმატებით თიანამშრომლონ.

არტურას პაულასკასი ორჯერ იყრიდა კენჭს საპრეზიდენტო არჩევნაებში და ორჯერვე დამარას პაულასკასმა სინაულით აღნიშნეს, რომ ორ ქვეყანას შორის კონომიკური ურთიერთობები ძალიან დაბალ დონეზეა და საუბრუნვა წელნაღში, სულ რაღაც, ოთხ მილიონ ევროს შეადგენს. სტუმარსაც და მასპინძელს-

ვერ გავხდი, ეს ჩემთვის ტრაგედიად არ ქვეულა.” ამასთან, სტუმარმა თავი შეიკავა იმის თქმისგან, მესამედაც ეცდება თუ არა პოლიტიკურ ოლიმპზე ასვლას.

ლიტვის სეიმის დელეგაცია საქართველოდან დღეს გაემგზავრება. როგორც ჩანს, კარგი შთაბეჭდილებებით. “ორი დღეა საქართველოში ვარ და ყოველ წუთს ვგრძნობ გულიდან სტუმართმოყვარეობას,” - იმ “ხელობას უქებს” პაულასკასი ქართველებს, რომელმაც ერთი თვის წინათ თავად ჯორჯ ბუშიც კი აღაფრთოვანა.

ორი სიხვერთ

თბილისი. მეზობლის მკვლელობის ბრალდებით, გურჯაანის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ამავე რაიონში მცხოვრები 21 წლის გოჩა ჩალიაშვილი. შს სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ჩალიაშვილს ბრალი ედება წელს, 6 ივნისს თავისი მეზობელ და თანატოლ გიორგი ჯავახიშვილიან შუღაპარაკების შემდეგ მისი დანთი მოკვლაში. **ჯი-ეი-ენი**

თბილისი. პოლიციელებმა წარკოდანაშაულისათვის გარდაბნის რაიონის სოფელ ფონიჭალის მკვიდრი, 24 წლის ელზან მამედოვი დააკავეს, რომელსაც ჩრკელის-ეი განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 9,33 გრ. ნარკოტიკული ნივთიერება “პრობინი” აღმოუჩინეს. ბოლო პერიოდის განმავლობაში ფონიჭალაში წარკორვალობატირობაში ბრალდებული არაერთი პირი დააკავეს. პოლიციამ მისის ბოლოს ჩატარებული სპეცოპერაციისას 11 წარკორვალობატიროი დააკავა. **ჯი-ეი-ენი**

თბილისი. ფინანსური პოლიციის რეგონულმა დანაყოფებმა დიდი რაოდენობით უაქციზო სიგარეტის სხვადასხვა პარტია გამოაღწეს. წინასწარი გამოძიება დაწყებულია და პასუხისგებაში მიტყუულია დანაშაულში ეჭვმიტანილი 14 პირი. ერთი დღის განმავლობაში, შიდა ქართლში მიიღებულა 18 ათასზე მეტი კოლოფი უაქციზო სიგარეტი, სამგერლოში - 4 ათას კოლოფამდე, ხოლო მცხეთა-მთიანეთის რეგიონში - დაახლოებით, 2 ათასი კოლოფი. **მედიანოსი**

თბილისი. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის შს სამმართველოს მე-6 და პირველი განყოფილებების თიანამშრომლებმა დააკავეს 55 წლის თენგიზ ქართველიშვილი, რომელმაც ურთიერთშუღაპარაკებისა დანთი მკვლეში დაჭრა 47 წლის თებურ ბაკაშვილი. საქმეს იბიებს ვაკე-საბურთალოს შს სამმართველო. **მედიანოსი**

თბილისი. დღეს თვდაცვის სამინისტროში თურქეთის რესპუბლიკას და საქართველოს შორის ხელშეკრულება გაფორმდება, რომლის თანახმადც, საქართველოს შეიარაღებული ძალების რეორგანიზაციის საქმეში წვლილის შეტანის მიზნით, თურქეთის რესპუბლიკა 2005 წლიდან საქართველოს, გრანტის სახით, 1 550 000 აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო დახმარებას გაუწევს.

ხელშეკრულებას, თურქეთის რესპუბლიკის სახელით, ხელს მოანერს გენერალური შტაბის თავდაცვის პოლიტიკისა და რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი, პრიგადის გენერალი ალი აქლოღანი, ხოლო საქართველოს მხრიდან - შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი დავით ნაირაშვილი. **მედიანოსი**

თბილისი. დღეს ტალიში, საქართველოსა და ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის პოლიტიკური კონსულტაციები გაიმართება.

მსგავსი კონსულტაციები საქართველოსა და ლატვიას შორის რიგაში უკვე შედგა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციას მინისტრის პირველი მოადგილე კახა სიხარულიძე ხელმძღვანელობს.

ამ შეხვედრებზე საქართველო შეეცდება, ბალტიის ამ ორი ქვეყნის ევროპულ სფერვში განვერობნების გამოცდილება გაიზიაროს.

ასევე განიხილება ქართულ-ლატვიური და ქართულ-ესტონური ორმხრივი თიანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საკითხები. **მედიანოსი**

თბილისი. ახლად შექმნილი ცესკო-ს წევრს ეზნარ ფავასას საარჩევნო სიების მონესრიგება დავებლა. ფავასას თქმით, ის ჯერჯერობით ფაქტობრივ მდგომარეობას სწავლობს და ამ საკითხზე სასაუბროდ უახლოეს დღეებში ცესკო-ს ხელმძღვანელთან შეხვედრას აპირებს. ფავასათვის მიუღებელია სიების გადამოწმების დღემდე მოქმედი პროგრამა. იგი მიიჩნევს, რომ საქართა ახალი პროგრამის შექმნა, საარჩევნო სიების დაზუსტებასთან დაკავშირებით, იგეგმება შეხვედრები ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც. ამის შემდეგ მოხდება დონორ ორგანიზაციებთან - ევთო-ევროსაბჭო-USAI-ის შეხვედრაც. **მედიანოსი**

თბილისი. არასამთავრობო ორგანიზაცია “სამართლიანი არჩევნების” აღმასრულებელ დირექტორის თამარ ფეხაიას განცხადებით, საარჩევნო სიების მონესრიგების საკითხი მისი ორგანიზაციისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული იქნება. “ეს პრობლემა ძველ ცესკო-საც ბევრჯერ შევასწენთ, თუმცა 2004 წლის 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სიებისთვის ხელი არავის უხლია.” - განაცხადა ფეხაიამ. “სამართლიან არჩევნებში” ვარაუდობენ, რომ ამომრჩეველთა სიები კვლავაც შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე მონესრიგდება. “სამართლიანი არჩევნების” წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ თუ ცესკო პრობლების მოგვარებას ახლავ შეუდგება, ქვეყანას 2006 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე სრულყოფილი სია ექნება. **მედიანოსი**



სს “კომპი სერვისი”

გთავაზობთ

ფართოფორმატიან სრულფეროვან ბეჭდვას

300dpi და 1200dpi

ტირაჟი - 1 ეგზემპლარიდან

მინიმალური ზომა A4

მაქსიმალური ზომა განუსაზღვრელი

ქაღალდი Glossy Photobase 150g

საქართველო, თბილისი 0119, აწერეთლის გამზ 117
ტელ: (+995 32) 345610, ტელ/ფაქსი (+995 32) 912180
E-mail: compi@gol.ge

შ.პ.ს. “აჭარის ენერგოკომპანია”, ფილიალების

ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, აცხადებს

აუდიტორული ფირმების შესარჩევ კონკურსს:

კომპანიას ესაჭიროება ფილიალების სალიკვიდაციო

ბალანსების შედგენა(კომპილაცია).

dato.gogichaishvili@aec.ge

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფების თანამშრომელთა მხრიდან თქვენი უფლებების შელახვის ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა შემთხვევაში დავიკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე:

98-57-81

“საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაბი” აფუძნებს ფილიალს ქ. ბათუმში და აცხადებს კონკურსს ფილიალის მენეჯერისა და ადვოკატის თანამდებობებზე.

პირობები:

1. უმაღლესი იურიდიული განათლება;
2. ადვოკატის სერტიფიკატი;
3. ავტობიოგრაფია (CV);
4. ასაკი 27 წლამდე;
5. დახასიათება უმაღლესი სასწავლებლიდან ან ბოლო სამუშაო ადგილიდან;
6. ერთ-ერთი უცხო ენის ცოდნა.

საბუთების შემოტანის ვადაა 2005 წლის 15 ივნისამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ.: N77 “საერთაშორისო იურიდიული ოფისი გაბი”. ტ. 34 76 58

პარასკევს პარლამენტის რიგგარეშე სხდომა გაიმართება. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, პავლე კუბლაშვილის განცხადებით, უკვე მომზადებულია რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი.

რიგგარეშე სხდომაზე განსახილველი საკითხებიდან მთავარი - ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ კანონპროექტში შესატანი ცვლილებები იქნება. კანონპროექტი აღნიშნული

სფეროს ლიბერალიზაციას ითვალისწინებს. გარდა ამისა, კუბლაშვილის თქმით, პარლამენტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგშია “ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის საგადასახადო შემოსავ-

ლების განაწილების შესახებ კანონში ცვლილებები”, რომლის მიხედვითაც მოგების გადასახადი ცვლილებების შემდეგ ცენტრალურ ბიუჯეტში მიიმართება.

ჯი-ეი-ენი

მოკლად

აფხაზეთში სათამაშო ზიზნესის აკრძალვას ითხოვენ

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პარლამენტი შემოი- თებულია აფხაზეთში სათამაშო ზი- ზნესის გავრცელების მასშტაბებით და, შესაბამისი კანონმდებლობის მი- ლებამდე, მისი აკრძალვის ინიცია- ტივით გამოდის.

აფხაზური საინფორმაციო საა- გენტო "ფუნსიპრესის" ინფორმაცი- ით, დე ფაქტო რესპუბლიკის პარლა- მენტის სპიკერმა ზუგზარ აბუშამ სა- თამაშო ზიზნესის აკრძალვის თხოვე- ნით, პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშს წერილობით მიმართა.

აფხაზეთის პარლამენტის მონა- ცემებით, ამ დროისთვის აფხაზეთ- ში 500 სათამაშო ავტომატი მოქმე- დებს.

აფხაზი პარლამენტარების ინ- ფორმაციით, აფხაზეთის გადასაბა- დების და შემოსავლების სამინისტ- როს მონაცემებით, სათამაშო ზიზნე- სიდან ბიუჯეტში შემოსავლები, ფაქ- ტობრივად, არ შედის.

"ამასთან, სათამაშო ავტომა- ტები საგანმანათლებლო დაწესე- ბულებების სახელმძღვანელო, ბავშვები- სათვის ხელმისაწვდომ ადგილას მდებარეობს. სპორტული დარბა- ზების, სტადიონების და გასართო- ბი ცენტრების არარსებობის გა- მო, სათამაშო კალხები ახალგაზ- რდობის გართობის ერთადერთ წყაროდ რჩება," - ნათქვამია წერი- ლში.

24 საათი

სოხუმში "აფხაზეთის კონსტიტუციის" რეფორმების საკითხი განიხილეს

კონსტიტუციის რეფორმის სა- კითხზე პარლამენტის საკანონმდე- ბლო კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე იმსჯელეს.

განიხილეს პარლამენტის დეპუ- ტატები, გენერალური პროკურორი, უზენაესი და საარბიტრაჟო სასაბა- როთლოს თავმჯდომარეები და პარ- ლამენტი ბაგაფშის რწმუნებული დეკნერენ.

"კონსტიტუციის რეფორმის პროცესი მეტად საპასუხისმგებლო საქმეა და ის ფართო საზოგადოებ- რივ მსჯელობას მოითხოვს," - აღ- ნიშნა საკანონმდებლო კომიტეტის თავმჯდომარემ ვალერი ზანთაიო- ამ.

ხსენებულ შეკრებაზე აფხაზეთ- ის საკონსტიტუციო სასამართლოს შექმნის თაობაზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების გაფართოებასა და სხვა საკითხებზეც ისაუბრეს.

ჯვი-ეიზ-ენი

რუსი ექსპერტები ბაზების გაყვანის რეჟიმს ადგენენ

თბილისში რუსი სამხედრო ექს- პერტები ჩამოვიდნენ. ისინი ქართვე- ლ კოლეგებთან სამხედრო ბაზებ- ის გაყვანის გრაფიკსა და სხვა დე- ტალებს შეთანხმებენ.

რუს სამხედრო ექსპერტებს სა- განგებო დავალებათა ელჩი ლევ მი- რონოვი ხელმძღვანელობს, რომე- ლიც საქართველოს საგარეო საქმე- თა მინისტრის მოადგილესთან, მე- რაბ ანთაქისთან მოლაპარაკებებს გამართავს.

"იმ ერთობლივი განცხადების რეალიზებას შეუდგებით, რომელ- საც მოსკოვში მოენერა ხელი. ამ გა- ნცხადებას იურიდიულად სავალდე- ბულო დოკუმენტად გადაეცეცვით. კიდევ ბევრ ქალაქზე ხელმოწერა მოგვიწევს, მაგრამ ძირითადი პარა- მეტრები მოსკოვში ხელმოწერილ განცხადებაშია ასახული. ასე რომ, ნიჩ!" - აცხადებს ლევ მირონოვი.

ორ დღეში თბილისში რუსეთის საგანგებო დაელეგატია კიდევ ერ- თი ელჩი იგორ სავოლსკი ჩამოვა და სამხედრო ექსპერტების დელეგა- ციას შეუერთდება.

მედიაინოუსი

კონტრაბანდულ ავტონაწილებს სპეციალურ სამალავში მიაგნეს

ფინანსური პოლიციის საგამო- ძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველო ინდენწარმე პაატა ჭელიშვილის მიმართ, საბაჟო წესის დარღვევის მუხლით, გამოძიება და- ინიყო.

როგორც გაირკვა, პაატა ჭელი- შვილმა რუსეთის ქალაქ ნიჟნი ნოვ- გოროდიდან საქართველოში კონტ- რაბანდული გზით დიდი ოდენობით ავტონაწილები შემოიტანა. "მერსე- დისის" ტიპის ავტობუსში ჭელიშე- ილს სპეციალური სამალავი ჰქონდა გაკეთებული, სადაც ეს ავტონაწი- ლები იყო მოთავსებული. სწორედ ამის გამო, ფოთის მეზაყუებმა კონ- ტრაბანდული ტვირთი ვერ აღმოა- ჩინეს. პაატა ჭელიშვილი იმერეთში ფინანსურმა პოლიციამ გააჩერა და ჩხრეკისას სპეციალურ სამალავში გადამალულ კონტრაბანდულ ავ- ტონაწილებსა მიაგნო" - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში.

საბაჟო წესის დარღვევის რომე- ლი ნაწილით აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე ინდენწარმის მი- მართ, მხოლოდ მას შემდეგ გაირკ- ვება, რაც ავტონაწილების ღირებუ- ლების დასადგენად ჩატარებული ექსპერტიზის პასუხები გახდება ცნობილი.

24 საათი

"თბილგაზის" მომხმარებელთა საყურადღებოდ

ბოლო ხანს თბილისელთა ოჯახებში სს "თბილგაზის" წარმომადგენლის სახელით შემთხვევითი პირების შეღწევის რამდენიმე ფაქტი გამოვლინდა. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, გაცნობებით, რომ სს "თბილგა- ზის" წარმომადგენლები აღჭურვილი არიან ფოტოსურათიანი პირადობის დამადასტურებელი სათანადო მოწმობებით. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, თუ რომელ საცხოვრებელ სახლში (ან ქუჩაზე) ვინ უნდა იყოს მივლინებული, შეგიძლიათ ტელეფონით მიმართოთ "თბილგაზის" რაიო- ნული უბნების მიხედვით შესაბამის ოფის-მენეჯერებს.

- | | |
|---|-----------------------|
| 1. ვაკის რაიონში | ტ: 23-52-01 |
| 2. საბურთალოს რაიონში | |
| (ვაჟა-ფშაველას გამზირის ზედა მხარე) | ტ: 30-50-25 |
| 3. საბურთალოს რაიონში (ქვემო საბურთალო) | ტ: 37-14-73; 38-17-03 |
| 4. გლდნის რაიონში | ტ: 24-78-63; 24-78-65 |
| 5. ნაძალადევის რაიონში | ტ: 60-30-66; 60-18-64 |
| 6. ჩუღურეთის რაიონში | ტ: 96-35-77; 96-33-18 |
| 7. ისნის რაიონში | ტ: 70-07-28; 71-78-14 |
| 8. სამგორის რაიონში | ტ: 76-61-81; 76-54-33 |
| 9. კრწანისის რაიონში | ტ: 72-40-50; 72-04-04 |
| 10. მთაწმინდის რაიონში | ტ: 93-64-42; 93-52-16 |
| 11. დიდშის რაიონში | ტ: 51-59-46; 51-73-90 |
| 12. დიდუბის რაიონში | ტ: 34-42-79; 35-65-12 |
| 13. სოფელი წყნეთი | ტ: 22-81-04 |

სურათის ადგილი

ს.ს. „თბილგაზი“ პირადობის მოწმობა № _____

სახლი _____

ბაჟარი _____

თანამდებობა _____

ძალაში _____

ბენეჩალური დირექტორი

შეღების ადგილი

ფოტოკაპირობაჟები რაღირ მწვანე ტალღის სივლიიდან

რადიო „მწვანე ტალღის“ ეთერში 107.4 კიოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დიდის სასამართლო. გაუასამართლოთ სხვადასხვა მიზეზებით, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაოციც მსმენელი იქნებით თქვენ.




ქალთა გავლი პოლიტიკაში სასამართლომ ვერ გადაწყვიტა

მოსამართლე	გაბია გობრონიძე																									
პროკურორი	არნოლ ბენაშვილი, ქალი და პოლიტიკა თავად ქალისთვის არის არავსებური. ქალი შინაგანად არ არის დაბადებული და მოუღწიელი ამ ქვეყნად იმ საქმისთვის რახაც პოლიტიკა ქვეა. არსებობს სულ სხვა პროფესიები სადაც ქალს ოფითგანვე უფადვით სარგებელი მოაქვს. ქალი უნდა იყოს თავისუფალი. ხელი რთვხაც იგი ხდება პოლიტიკაში ქალი მეტად შეზღუდულია.																									
აპროკანტი	ნინო ციხითაია, საქართველოს რეალობა ცალკე მდგომი, საქაროს მოწყვეტილი არ არის. მხოლოდში მიმდისაჲ პროცესებსა დაგვარწუხეს ამ სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი ბრალდებების უსუსურობაში. განდერული პრობლემები საერთოდ მოუწესრიგებელია. ქალებს პოლიტიკაში ძაღლები მოაგვაროს ისეთი პრობლემები, რომლებიც მძაქაცებსა აქამდე ვერ გადაწყვიტეს. ქალები უნდა იფარნ რთიერც საკანონმდებლო ისევე აღმასრულებელ ორგანოებში.																									
მმართველი	12 მსჯელის მოსასრება თანხრად გათუა და სასამართლო პროცესი გადაიდო.																									
მსაჯულთაში წინაშე მდინება პიიიხა უნდა იყოს თუ არა პოლიტიკაში <table> <tr> <td>1.ჯორჯიუნი</td> <td>(არა)</td> <td>7.დიტუო ქართუელი</td> <td>(დიახ)</td> </tr> <tr> <td>2.ხუკიო ობილაძე</td> <td>(დიახ)</td> <td>8.გაიორც საბიძე</td> <td>(არა)</td> </tr> <tr> <td>3.აიორგი</td> <td>(დიახ)</td> <td>9.უკუნი</td> <td>(დიახ)</td> </tr> <tr> <td>4.სალომე წინტლაძე</td> <td>(არა)</td> <td>10.ციალა ბესურაძე</td> <td>(არა)</td> </tr> <tr> <td>5.მარელოვა ბოსნი</td> <td>(დიახ)</td> <td>11.დოლორეს</td> <td>(დიახ)</td> </tr> <tr> <td>6.აიორგი II</td> <td>(არა)</td> <td>12.დიდოი ტუღიძე</td> <td>(არა)</td> </tr> </table>			1.ჯორჯიუნი	(არა)	7.დიტუო ქართუელი	(დიახ)	2.ხუკიო ობილაძე	(დიახ)	8.გაიორც საბიძე	(არა)	3.აიორგი	(დიახ)	9.უკუნი	(დიახ)	4.სალომე წინტლაძე	(არა)	10.ციალა ბესურაძე	(არა)	5.მარელოვა ბოსნი	(დიახ)	11.დოლორეს	(დიახ)	6.აიორგი II	(არა)	12.დიდოი ტუღიძე	(არა)
1.ჯორჯიუნი	(არა)	7.დიტუო ქართუელი	(დიახ)																							
2.ხუკიო ობილაძე	(დიახ)	8.გაიორც საბიძე	(არა)																							
3.აიორგი	(დიახ)	9.უკუნი	(დიახ)																							
4.სალომე წინტლაძე	(არა)	10.ციალა ბესურაძე	(არა)																							
5.მარელოვა ბოსნი	(დიახ)	11.დოლორეს	(დიახ)																							
6.აიორგი II	(არა)	12.დიდოი ტუღიძე	(არა)																							

ზესტაფონის გამგებალთა ქრთაიის აღების ფაქტზე დააკავეს

გუშინ დილით შინაგან საქმე- თა სამინისტროს კონსტიტუციუ- რი უსაფრთხოების დეპარტამენ- ტის თანამშრომლებმა საკუთარ კაბინეტში ზესტაფონის გამგე- ბელი მირიან ბერუაშვილი დააკა- ვეს. დაკავებული მთელი დღის განმავლობაში სამართალდამც- ველებს დაკითხვაზე ჰყავდათ, პროკურატურამ კი დღის ბოლოს გამგებელს ქრთამის აღების ბრა-

ლდება წარუდგინა.

"ეს გახლავთ პირველი პრეცე- დენტი, როცა ასეთი მაღალი რან- გის მოხელე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე დაეკავეთ. ვაფრთხილ- ბელი მირიან ბერუაშვილი დააკა- ვეს. დაკავებული მთელი დღის განმავლობაში სამართალდამც- ველებს დაკითხვაზე ჰყავდათ, პროკურატურამ კი დღის ბოლოს გამგებელს ქრთამის აღების ბრა-

განმარტებით, ზესტაფონის გამ- გებელმა მირიან ბერუაშვილმა ერთ-ერთ ფირმასთან ხელშეკრუ- ლება გააფორმა, რომლის თანხა- მადაც, გარკვეული სამშენებლო სამუშაოების ჩატარების შემდეგ ფირმას ანაზღაურება - 15 ათასი ლარი უნდა მიეღო. "იმისთვის, რომ გამგებელს ფირმისთვის ხე- რტაშენების თავმჯდომარის მოა- დგილე სოსო თოფურიძე. მისივე

რმის წარმომადგენლებს ამ თანხ- ის 10 პროცენტი მოსთხოვა. მირი- ან ბერუაშვილის დაკავება სწორ- ედ იმ დროს მოხდა, როდსაც მას მოთხოვნილი თანხა საკუთარ კა- ბინეტში მიაღრთეს და გადასცეს", - აცხადებს სოსო თოფურიძე.

მირიან ბერუაშვილისთვის წა- რდგენილი ბრალდება ათ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

24 საათი

საქართველოს იაღაჟი TELECOM GEORGIA

ახალი დაბალი ტარიფები

თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:

- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;

- გათიშული გაქვთ მ-იანი;

- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...

„საქართველოს ტელეკომი“ გათავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:

ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):

აშშ

რუსეთი

ევროპა (ფიქტიურულ ტელეფონზე)

მხოლოდ 30თ.

8-10

ისაუბრა მიაგი. გადამხადე ნაქლავი

ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის“ საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში

რუსთაველის გამზ. 31 ბაღ.: 442828 www.telecom.ge

მოქალაქე მისაზღვრები და დაუცველი მოქალაქეები

პირადი ბავრდიდან

ფაქტების სიმრავლის მიუხე- დავად, რეაგირება არც საქართველოს და არც აზერბაიჯანის მხრიდან არ ყოფილა. უფრო მეტ- იც, ადამიანთა გატაცების არც ერთი შემთხვევა სამართალდამც- ავ სტრუქტურებამდე არ მისულა.

სოფელ მანჩის მოსახლეობა აცხადებს, რომ აზერბაიჯანელი ჯარისკაცების მხრიდან ხშირია როგორც მამაკაცების, ისე ქალე- ბის და ბავშვების საზღვარზე გა- დათრევის მცდელობა, რომლის შემდეგაც აზერბაიჯანელი მესა- ზღვრეები ქართველი მოსახლეო- ბის მხრიდან საზღვრის დარღვე- ვისთვის ჯარიმის სახით გარკვე- ულ თანხას ითხოვენ, ჯარიმა 200- დან 250 დოლარამდე მერყეობს. როგორც საზღვრისპირა სოფლის მოსახლეობა ამბობს, "საქმის მო- გვარებაში" შუამავლის როლს "კობახოშ" სასაზღვრო უნეტის ქართული მხარე ასრულებს. სა- ზღვარზე ასეთი განუკითხაობა, ადგილობრივი მოსახლეობის გან- ცხადებით, ქართული მხრიდან სასაზღვრო უწყების უნიათობის შედეგია.

საზღვრის დაცვის დეპარტა- მენტის უფროსი ბადრი ბინაძე სა- საზღვრო ზოლზე გატაცების ფა- ქტებს ადასტურებს. "ჩვენ ყველა კონკრეტულ ფაქტზე მოვახდენ- რთ რეაგირებას. რაც შეეხება სასაზღვრო ზოლებს, ეს ყველა- ფერი პრესტასჰჟორი პერიოდ- ის ბრალია," - განაცხადა "24 საა- თთან" საუბარში ბადრი ბინაძე.

თვით მესაზღვრეები კი პასუ- ხისმგებლობას იხსნიან და ადამი- ანთა გატაცების ყველანიარ შემ- თხვევას უარყოფენ. არგუმენტად იმას ასახელებენ, რომ არც ერთ დაზარალებულს სამართალდამც- ავი სტრუქტურებისთვის არ მი- უზმართავს. ამ ფაქტს კი მანჩის მოსახლეობა იმით ხსნის, რომ მათ ადგილობრივი სამართალდამცა- ვების იმედი არ აქვთ. "გასული წლის გაზაფხულზე კიდევ ერთი მწყემსი გაიტაცეს, პოლიციამ- აც გაიგო, გამგებელმაც, მაგრამ რეაგირება არც ეთიი მხრიდან არ მოჰყოლია," - ამბობენ მანი- მელები.

ამჯერად აზერბაიჯანელი მე- საზღვრეების კიდევ ერთი მსხვე- რპლი, ლაგოდეხის რაიონის სოფ- ელ მანჩიში მცხოვრები, 34 წლის ღურმეშან ნატროშვილი აღმოჩ- ნდა. როგორც მისი მეუღლე, მანა- ნა ზედელაშვილი ამბობს, გატა- ცების დღეს, ღურმეშან ნატროშ- ვილი მანჩის ხევზე შეშის შესაგ- როვებლად იყო ნასული. მდინარე კი, რომელიც სოფელ მანჩიში მო- ედინება, ფაქტობრივად, საქარ- თველო-აზერბაიჯანის საზღვარს წარმოადგენს, თუმცა სადემარკა- ციო ხაზი არ არსებობს და დღეს მხოლოდ პირობითი საზღვარია. დაზარალებულის მეუღლის თქმითვე, იმ დღეს, იმის გამო, რომ მდინარე ადგილები იყო, მისი მეუღლე გადასვლას და შე- საბამისად საზღვრის დარღვევას ვერ შეძლებდა. როგორც სხვა გა- ტაცებულები, ღურმეშან ნატ- როშვილის მეუღლეს მიიჩნევენ, რომ მისი ქმარი აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა დაჩინებით ან მო- ტყულებით დააკავეს.

"ჩემი მეუღლე შეშის მოსაგ-

როვებლად დღის 12-ის ნახევარ- ზე გავიდა სახლიდან. წვიმიანი ამინდების გამო, წყალს დიდი მორები მოჰყვებდა ხოლმე და სო- ფლის მოსახლეობაც ცდილობს, ზამთრისთვის ამ დროს მოავ- როვოს შეშა. როცა აღარ დაბ- როუნდა, ყველგან მოეძებნეთ, მა- გრამ მის გზა-კვალს ვერ მივაკ- ვლიეთ. რატომღაც ვიფიქრე, რომ აზერბაიჯანელი მესაზღე- რები დააკავებდნენ, თუმცა დარწმუნებული ვარ, ჩემი ქმარი საზღვარზე მოტყუებით ან და- შინებით გადაიყვანეს, რადგან ასეთი შემთხვევები ჩვენს სოფე- ლში ბევრჯერ ყოფილა," - ამბ- იბს მანანა ზედელაშვილი. ღურ- მიშან ნატროშვილის დაკავებისა და ადგილსამყოფელის შესახებ ოჯახის წევრებმა ისევ ნაცნობი აზერბაიჯანელი მოქალაქის დახ- მარებით შეიტყვეს.

"მოვიგანებთ, ჩვენი ოჯახის აზერბაიჯანელმა მეგობარმა შე- გვატყობინა, რომ ჩემი შვილი ზე- ქათაის პოლიციის განყოფი- ლებაში იმყოფებოდა, თუმცა მა- სთან პრისპირ შეხვედრა და მი- ზეზეების გარკვევა, ოჯახის წეე- რებმა ვერ მოვახერხეთ," - ამბ- იბს დაკავებულის მამა ჯუმბერ ნატროშვილი. გათავისუფლება კი ითხი დღის შემდეგ გახდა შესაძ- ლელები, როდესაც საქმეში საქარ- თველოში აზერბაიჯანის საელჩოს წარმომადგენლები ჩერთვნენ.

ღურმეშან ნატროშვილის მსგავსად, ერთი თვის წინ აზერ- ბაიჯანელმა მესაზღვრეებმა კიდ- ევ ერთი მანიშელი, თემურ მძანა- შვილი დააკავეს, თუმცა, მიუხე- დავად იმისა, რომ საზღვრის დარ- დღევისთვის, ჯარიმის სახით გა- დასადად, 250 დოლარი მძანაშე- ლების ოჯახმა უკვე გადაიხადა, მისი გამოსხნა დღემდე ვერ ხერხ- დება. მცირეწლოვანი ბავშვებით დარჩენილმა მისმა მეუღლემ სო- შხაზაზოგმა დახმარებისთვის სო- ფლის საკრებულოს არაერთხელ მიმართა, მაგრამ ადგილობრივი მმართველობის დონეზე პრობ- ლემის მოგვარება და თემურ მძა- ნაშვილის ოჯახში დაბრუნება, ვერ მოხერხდა.

"მცირეწლოვანი ბავშვებით მარტო დავრჩი, სამსახური მე არ მაქვს და არანაირი საარსებო წყარო ჩემს ოჯახს არ გაჩნია. მხოლოდ ჩემი ქმარი მუშაობდა და ის გვინახავდა. სასწრაჟვე- თილებში ჩავარდნილს, ბავშვე- ბის გამოსაკვებად მეზობლები და ნათესავები მეხმარებოან. ეს არის ქვეყანა, საკუთარი მოქა- ლაქების დაცვა არ შეუძლია? უდანაშაულო კაცის გამოსახს- ნელად რის ვაი-ვაგასებით მოგ- როვილი თანხა 250 დოლარი გა- დავიხადე და მეუღლეს მაინც ვერ ვუშველდი, ვის მივმართო დახმარებისთვის, უკვე აღარ ვი- ცი," - ამბობს თვალცრემლიანი თემურ მძანაშვილის მეუღლე.

მანჩის მოსახლეობა აღნიშ- ნული პრობლემის აღმოსაფხვრე- ლად დახმარებას ითხოვს. მათი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ცენ- ტრალურმა ხელისუფლებამ საქა- რთველოს მხრიდან საზღვრის გა- კონტროლების პრობლემა დროუ- ლად არ მოავგარა, არ გამორი- ცხავენ, რომ შურის საძიებლად სასაზღვრო ზოლზე სისხლი დაი- ღვაროს.

ვის დასჭიან ქუთაისის უნივერსიტეტი აღმოჩენილი დარღვევებისთვის?

სავარაუდოდ, უახლოეს მომა- ვალში ქუთაისის აკადი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერ- სიტეტის ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხი და- დგება. უნივერსიტეტში აღმოჩე- ნილი დანაშაულის ფაქტზე ფინა- ნსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმა- რთველომ უკვე დაიწყო გამოძიე- ბა. ფინანსური პოლიციის ინფორ- მაციით, ქუთაისის უნივერსიტე- ტი სახელმწიფო ბიუჯეტს დიდი ოდენობით თანხებს უშლავდა.

ფინანსური პოლიციის დავა- ტებით, ბიუჯეტთან უნივერსიტე- ტის ანგარიშსწორება საგადასა- ხადო ინსპექციამ შეისწავლა. სა- გადასახადო სამსახურის მიერ შე- დგენილი დასკვნის მიხედვით კი, მხოლოდ 2004 წელს ქუთაისის სა- ხელმწიფო უნივერსიტეტი, დაა- ხლოებით, 160 ათასი ლარი დამა- ლა. ეს თანხა სანქცია-საურავები- ნად 200 ათას ლარს აჭარბებს.

ფინანსური პოლიციის მიერ

გამოძიებულ მასალებს და საგა- დასახადო ინსპექციის აქტს უნი- ვერსიტეტის ახალი ხელმძღვანე- ლობა არ ეთანხმება. როგორც პო- ლიციაში ირწმუნებოან, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უფ- ასო სწავლებასთან ერიად ფასია- ნი სწავლების სექტორიც აქვს. ამ- ას ვარდა, იქ კომერციულ საქმი- ანობასაც ეწევიან - სხვადასხვა პი- რზე გაკეთებულია ფართი.

რამდენად შეესაბამება გადახ- დილი თანხა უნივერსიტეტში ჩა- ტარებულ სარემონტო სამუშაო- ებს, ამის გასარკვევად სპეცია- ლური ექსპერტიზა დაინიშნება.

"გამოძიების მიმდინარეობის- ას და სხვადასხვა ექსპერტიზის დასკვნების მიღებისთანავე დამ- ნამავე პირთა ვინაობა დაკონკრე- ტდება. მათი დასახლება ჯერ- ჯვრებით წაადრევი იქნება," - აცხადებს ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველოს უფრო- სი სოსო გაბრიჩიძე.

24 საათი

დაუბრუნდა თბილისი მტკვარს



საუკუნენახევრის წინანდელი თბილისის ამ მშენიერი უბნიდან ახლა მხოლოდ საძირკვლის ეს ნანგრევებია შემორჩენილი.



თამარ მაისურაძე

დაუბრუნდეს თბილისი მტკვარს - ეს იდგა მას შემდეგ გა-ჩნდა, რაც 1953 წელს, მეტეხის ხი-დის ქვეშ, მტკვრის პირას მდება-რე სავაჭრო კომპლექსი კომუნის-ტებმა ჯერ ააფუთქეს, შემდეგ კი დაანგრეს. მეტეხის ხიდთან, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ზუბალაშვილების, ხოლო მოპირ-დაპირე მხარეს - სადინოების ქა-

რეასლები ყოფილა, რომლებიც, სავარაუდოდ, 1830-1840 წლებში იყო აშენებული. ამ ორ სავაჭრო ობიექტს ერთმანეთთან ხიდი აკა-ვშირებდა, რომლითაც ავლაბრე-ლები სოლოლაკში გადადიოდნენ. იქვე, მეორე ხიდიც ყოფილა. სწო-რედ ამ ორ ხიდს შუა აუშენებიათ დღევანდელი მეტეხის ხიდი. ძველ ხიდებს ეირის ხიდს ეძახდნენ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სადინოების ქარვასლის გვერდ-ით, მეჩეთი ყოფილა, რომელშიც,

როგორც ამბობენ, ღვთისმშობლ-ის ხატი ყოფილა დასვენებული და ამ საოცარ აშბავს იმით ხსნიან, რომ სხვადასხვა აღმსარებლობის თბილისელებს ოჯახის შექმნაში არ შეშლოდათ ხელი.

ერთი სიტყვით, 1953 წლის შემდეგ, ძველი თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი ნაწილი ისტო-რიას ჩაბარდა. მოგვიანებით, მტკვრის სანაპიროები აშენდა, ვიწრო კალაპოტში მოქცეულმა მტკვარმა კი ქარვასლების ნარ-

ჩენები დაფარა.

გუშინ დანულმა მტკვარმა მე-ტეხის ხიდთან, წითელი აგურით ნაშენი საძირკვლები გამოაჩინა.

“დღეიდან იწყება პრეზიდენ-ტის პროგრამის - ძველი თბილი-სის სარეაბილიტაციო პროექტ-ის განხორციელება. სამუშაოს დაწყებას უფრო ადრეც ვგეგმა-ვდით, მაგრამ წყალიდობებმა შეგვიშალა ხელი. თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ამ პროექტზე მე-შაბა ჯერ კიდევ პრეზიდენტის

თბილისის საკრებულოს თავმჯ-დომარეობისა დაიწყო,” - გვი-თხრა თბილისის პრემიერმა თემ-ურ ქურხულმა. როგორც გაირკვა, გუშინ ჰიდრო-გეოლოგიური გა-მოკვლევები ჩატარდა, რომელიც, კომპანია “გეოგრაფიკის” წარმო-მადგენლის გიორგი გოცირიძის თქმით, მეტეხის ხიდის ქვეშ აღსა-დგენი ძველი თბილისის პროექტ-ის დასაშუშავებლადა აუცილქ-ბელი. **“ეს ადგილი ხეობის ყვე-ლაზე ვიწრო ყელია, ამდენად,**

პროექტში ყველაფერი გასათვა-ლისწინებულია,” - გვითხრა გიო-რგი გოცირიძემ.

მშენებლობას კომპანია “არსი” აწარმოებს. მისი ხელმძღვანელი გია აბულაძე აცხადებს, რომ ძველი თბილისის ეს ნაწილი ორ წელიწად-ში აღდგება, თუმცა მეტეხის ხიდის ქვეშ მიმდინარე სამუშაო ქალაქის ისტორიული ცენტრის რეაბილი-ტაციის ნომერ პირველი ამოცანაა. “პირველი ამოცანა” 7 მილიონი დო-ლარი დაჯდება. ვინ გაიმეტებს ამ

თანხას “ძველი თბილისისთვის”, ჯერ დაზუსტებული არ არის.

თბილისის მტკვრისთვის დაბ-რუნების ყველაზე რთული სამუ-შაო - ფუნდამენტის დამუშავება, რომელიც, ფაქტობრივად, წყალ-ში უნდა მოხდეს, ექვს თვეს გასტ-ანს. პირველი ფუნდამენტი კი შე-მოდგომაზე ჩაისხმება. იქამდე სპეციალისტებმა ქართული აგუ-რით სხვადასხვა წყობით გასულ საუკუნეებში ნაშენი საძირკვე-ში უნდა შეისწავლონ.

ნანგრევებიდან აღმდგარი ბენზინგასამართი სადგური

ორი წლის წინათ, ალ. ყაზბეგის ქუჩაზე, ინფექციური საავადმყოფოს გასწვრივ აშენებული ბენზინგასამართი სადგურის ნგრევის სცენა საზოგადოებას კარგად ახსოვს. საკრებულოს მაშინდელი თავმჯდომარის, ვიცე-პრეზიერისა და მთავარი არქიტექტორის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ობიექტი ერთ წუთში განადგურდა. მიზეზი ძალზე მარტივი იყო - ბენზინგასამართი სადგური საცხოვრებელ შენობებთან ძალზე ახლოს და, თანაც, ტროტუარზე აშენდა. დღეს ამ ადგილას იგივე დანიშნულების ობიექტი ხელახლა წამოიჭიმა. როგორც ჩანს, ამჯერად მას ორი წლის წინანდელი საფრთხე აღარ ემუქრება.

ნანა ქადაგიშვილი

თბილისში, თუნდაც უადგილო ადგილას აშენებული ობიექტის დაზგრევის ფაქტი თბილისელები-სთვის იმდენად უცხო იყო, რომ ნგრევის პროცესის საყურებლად, ქალაქის მთავრობის წარმომად-გენლებსა და ჟურნალისტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მეზო-ბელი ქუჩის მცხოვრებლებიც კი

მივიდნენ. ბუღდოზერმა, რომლის მძოლესაც მითითებებს ქალაქის მაშინდელი მთავარი არქიტექტო-რი ირაკლი როსტომაშვილი აძ-ლევდა და სეირის მაყურებლები შეძახილებით ამწეევდნენ, ბენ-ზინგასამართი სადგური ელვის სისწრაფით დაშალა. **“ამიერიდან ფული ვეღარ გიშველით, უკანო-ნოდ აღარაფერს აგაშენებინ-ებთ, ხოლო მშენებარეს დაგინე-რეთ. ქალაქის ყველა რაიონში**

კომიტეტები შეექმნათ, რომ თბილისში უკანონოდ ერთი ხეც აღარ მოიჭრას და ერთი შენობ-აც აღარ აშენდეს,” - გამოაცხადა საკრებულოს მაშინდელმა თავმ-ჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა. თუმცა, მაშინ ეს განცხადებები მხოლოდ სიტყვიერად გაკეთდა და აღნიშნული ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართ-ვისა და პროექტის გაუქმებაზე არავის უზრუნია.

ტერიტორია (ფაქტობრივად, ტროტუარი), სადაც ეს ბენზინგა-სამართი სადგური შენდებოდა, თავის დროზე კომპანია “გლობუსი 2”-ს ეკუთვნოდა. ამ ადგილას ბენ-ზინგასამართი სადგურის მშენე-ლობის პროექტი არქიტექტურის სამსახურში 2000 წელს შეთანხმ-და. არქმშენისნსპექციამ მშენე-ლობის ნებართვაც გასცა (2002 წლამდე მშენებლობის ნებართე-

ებს არქმშენისსპექცია იძლეოდა). როგორც ურბანული დაგეგმარე-ბის სამსახურში აცხადებენ, დღეს ეს დოკუმენტები ისევ ძალაშია, რადგან ქალაქის მაშინდელ მთაე-რობას ნებართვები არ გაუუქმე-ბია. ამიტომ, აღნიშნული ტერიტო-რია ბოლო წლებში კომპანია “კა-ნარგო სტანდარდ ოილმა” შეიძინა და დღეს, ბენზინგასამართ სადგ-ურს დამშვიდებული სინდისით აშ-ენებს. კომპანიამ “კეთილი ნებაც” კი გამოიჩინა და, ერთი-ორი კვირ-ის წინათ, ურბანული დაგეგმარე-ბის სამსახურს განახლებული პრო-ექტი წარუდგინა შესათანხმებლ-ად. ანუ, ამ პროექტის მიხედვით, ბენზინგასამართი სადგური, მთე-ლის ნაცვლად, ტროტუარის ნახე-ვარს დაიკავებს. თუმცა, ურბანუ-ლი დაგეგმარების სამსახური აღ-ნიშნული პროექტის შეთანხმებას, ჯერჯერობით, არ აპირებს. მიზე-

ზი ამჯერადაც მარტივია - ბენზინ-გასამართი სადგური ტროტუარს (თუნდაც, ნახევარს) იკავებს და დასახლებული ტერიტორიიდან 25 მეტრზე მეტად არ არის დამოიე-რება. არადა, 1991 წელს გამოცე-მული შესაბამისი ნორმების თანა-ხმად, ბენზინგასამართი სადგური, რომელიც 500 მანქანაზე მეტს ემ-სახურება, დასახლებული ადგი-ლდან 100 მეტრით უნდა იყოს და-შორებული, ხოლო რომელიც 500 მანქანაზე ნაკლებს ემსახურება - 50 მეტრით.

დასახლებული დარღვევების გამო ურბანული დაგეგმარების სამსახური “კანარგო სტანდარდ ოილის” მიერ შემოთავაზებული პროექტის შეთანხმებისგან თავს იკავებს. **“მართალია, პროექტის ბოლო ვარიანტი პირველზე ბე-რად უკეთესია, მაგრამ მისი შე-თანხმება მაინც მიზანშეწინი-**

ლად არ მიმართია,” - აცხადებს სამსახურის უფროსის მოადგილე ბექა ქარსიძე. თუმცა, ურბანული დაგეგმარების სამსახურის ყოყ-მანი “კანარგო სტანდარდ ოილს” ბენზინგასამართი სადგურის მშე-ნებლობაში ხელს მაინც ვერ უშლ-ის. რაც მთავარია, მშენებლობის ნებართვა აქვს.

სხვათა შორის, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ყაზბეგის ქუჩის მცხოვრებნი ბენზინგასა-მართი სადგურის ახალ მფლობე-ელს აღარ ერიიან. ორი წლის წინ-ათ კი, სადგურის დაზგრევაში მა-თაც დიდი წვლილი მიუძღოდა. არადა, ტროტუარის ნაწილის და-კავებაზე რომ აღარაფერი პროექტის შეთანხმებისგან თავს იკავებს. **“მართალია, პროექტის ბოლო ვარიანტი პირველზე ბე-რად უკეთესია, მაგრამ მისი შე-თანხმება მაინც მიზანშეწინი-**

როგორც სანიტარიული ინს-პექცია აცხადებს, ოფიციალური მონაცემებით, დედაქალაქში 350 ბენზინგასამართი სადგურია აღ-რიცხული, მაგრამ მათი რიცხვი, საეარაუდოდ, ბევრად მეტია. მა-თი უმრავლესობა სანიტარიული ნორმების დარღვევით არის აშე-ნებული. ანუ, დასახლებული ად-გილებიდან მცირე მანძილით არ-ის დამორებული და არ აქვს ნაე-თობდამჭერი, სანიაღვრე და ორ-თქლის გასაუვნებელი მოწყობი-ლობები, რის გამოც ბენზინი კა-ნალიზაციის ქსელში ჩადის. ეს კი მოსახლეობის ჯანმრთელობას ორმაგად აზიანებს. ინსპექციის მიერ ჩატარებული სოციოლოგი-ური გამოკითხვის მიხედვით, ბე-ზინგასამართი სადგურების ახ-ლოს მცხოვრები მოქალაქეები მონამულის სიმპტომებს ხშირად უჩივიან.

ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სკოლა-ინტერნატი აცხადებს ღია ტენდერს კვების პროდუქტების შესყიდვაზე და ინვესტ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი - კვების პროდუქტები დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

ლ/ბი N1	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	მიწოდების გრაფიკი	მიწოდების ადგილი
1	საკონდერო სხვადასხვა	კგ	540	01.09.05-31.12.05	ქ.თბილისი
2	ხორცი	კგ	32400	01.09.05-31.12.05	ქ.თბილისი
3	ჩაის ნაწარმი	კგ	2500	01.09.05-31.12.05	ქ.თბილისი
4	პურღელეული	კგ	2000	01.09.05-31.12.05	ქ.თბილისი
5	კარაქი	კგ	1200	01.09.05-31.12.05	ქ.თბილისი
6	ზოსტნეული	კგ	14400	01.09.05-31.12.05	ქ.თბილისი
7	კვერცხი	ცალი	24000	01.09.05-31.12.05	ქ.თბილისი
8	ხიდი	კგ	2400	01.09.05-31.12.05	ქ.თბილისი
9	ზეთი	კგ	500	01.09.05-31.12.05	ქ.თბილისი
10	თევზი	კგ	2400	01.09.05-31.12.05	ქ.თბილისი
11	მაქარი	კგ	1700	01.09.05-31.12.05	ქ.თბილისი
12	სხვადასხვა	კგ	4000	01.09.05-31.12.05	ქ.თბილისი

ლ/ბი N2	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	მიწოდების გრაფიკი	მიწოდების ადგილი
27	პური I ხარ.	კგ	12000	01.09.06-31.12.05	ქ.თბილისი

ტენდერში გამარჯვებულის მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შესყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად ადგილზე მითანით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალი-ფიკაცო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნ-ებს:

იურიდიულ პირთათვის:

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყა-დალა (ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის მო-ქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა შესაბამისი რაიონული სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეებ-ის მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავ-ლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდებულნი და შესყიდვის დაწყების მომენტისა-თვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სა-მსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა სა-ქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფი-სა და ანალიზის გაცემის ბიუროდან).

4. უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

ფიზიკურ პირთათვის:

1. უნდა იყოს ქმდესწარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესე-ბულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმ-წიფო ორგანოდან.

2. მის მიერ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფოდან.

3. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სი-სხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქარ-თველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.

დამატებითი მოთხოვნები:

ცნობა, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინ-სპექციიდან).

სუბკონტრაქტორების არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას სუბკონტრაქტორის პირველ, მე-2 და მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილი ძირითადი საკვალიფიკაციო მონაცემები.

სატენდერო კომისია

ორი სიტყვით

ევროპა. ევროპარლამენტმა ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთისას ნაღდი ფულის გასაკონტროლებლად უმცირესი ნორმა შემოიღო. დებულებათა ხმათა უმრავლესობით მიღებული კანონის თანახმად, იმ პირს, ვისაც ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთისას 10 ათასი ევროს ან მეტი ოდენობის თანხა ექნება, თან ნაღდი ფულით, აუცილებლად მოუწევს დეკლარაციის შევსება. ადრე მოქმედებდა კანონი, რომლის თანახმად, ნაღდი ფულის გადატანის დასაშვები ზღვარი 15 ათასი ევრო იყო. ახალი საკანონმდებლო ნორმის საჭიროება არაღუგალურ შემოსავლებთან ბრძოლის აუცილებლობამ გამოიწვია. **იტარ-ტასი**

■ ■ ■
ერაყი. გუშინ ერაყის დასავლეთში უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა 22 ერაყელი სამხედრო მოსამსახურე გაიტაცეს. როგორც ანჰარის პროვინციის პოლიციის უფროსი აცხადებს, ჯარისკაცები წინა დღეს ელ-კაიმიდან რავაში მიმავალ გზაზე გაიტაცეს. ერაყის ხელისუფლების თქმით, გატაცებული სამხედროები მიიტები არიან. ჯერჯერობით მათი ზედის შესახებ არაფერია ცნობილი. **ბეიტის**

■ ■ ■
გერმანია. გერმანიის თავდაცვის მინისტრის პიტერ შტრაუკის თქმით, იგი უახლოეს მომავალში ნატო-ში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიიდან აშშ-ს ბირთვული იარაღის გატანის საკითხს დააყენებს. ქვეყნის სამხედრო უწყების მონაცემებით, გერმანიის გაერთიანების შემდეგ აშშ-მ საკუთარი ბირთვული არსენალის 95 პროცენტი ევროპიდან უკვე გაიტანა. თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებას გერმანიის საპარლამენტო ფრაქციის "მწვანეთა" წარმომადგენელიც. "ჩვენ მივესალმებით გერმანიის ტერიტორიიდან აშშ-ს კუთვნილი 130 ერთეული ბირთვული იარაღის გატანას, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ დარჩენილი 20-მდე ერთეული იარაღის გერმანიაში გაქრეების აუცილებლობა აღარ არსებობს", - აღნიშნეს "მწვანეებმა". **იტარ-ტასი**

■ ■ ■
აფრიკა. ოთხშაბათს ეთიოპიის დედაქალაქში მომხდარი მასობრივი არეულობების დროს სამართალდამცველებმა დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც, სულ მცირე, 22 ადამიანი დაიღუპა. ამის შესახებ ადღის-აღებას სამი სააგენტო ფოტოს მედპერსონალის საშუალებით გახდა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ყველა დაღუპულს ცეცხლსასროლი იარაღით აქვს ჭრილობები მიყენებული. **რიტერსი**

ისლამისტური ამბოხი თუ სახალხო პროტესტი

"ჰუმან რაიტს ვორ"-მა ანდიჟანში ისლამისტების კვალი ვერ აღმოაჩინა

უზბეკეთის ქალაქ ანდიჟანში 13 მაისს მომხდარი მოვლენები კიდევ დიდხანს დარჩება საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში. გარდა იმისა, რომ დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, თუ ვინ იყვნენ უზბეკეთის საზღვრისპირა ქალაქში გამოხუცილი მებრძოლები, დატრიალებული ტრაგედიის თაობაზე აქამდე დეტალური გამოძიებაც არ ჩატარებულა. საერთაშორისო ზეწოლის მიუხედავად, პრეზიდენტი კარიმოვი კატეგორიულად უარყოფს გამოძიებაში საერთაშორისო ექსპერტების ჩართვის შესაძლებლობას, და მხოლოდ საკუთარი ძალებით (კერძოდ, საპარლამენტო კომისიის დახმარებით) ცდილობს მოვლენებში გარკვევას; აცხადებს, რომ გასარკვევიც, თითქმის, არაფერია - ხელისუფლებამ აღკვეთა ისლამისტი რადიკალების შეიარაღებული ამბოხი. თუმცა, გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაცია "ჰუმან რაიტს ვორ"-ის ახლახან გამოქვეყნებულ ანგარიშში სრულიად განსხვავებულიადაა ფაქტები წარმოდგენილი - უზბეკეთის ხელისუფლებამ ანდიჟანში უპრეტენდენტო ქლეტა მოაწყო.



ჰუმან რაიტს ვორ-მა ანდიჟანის ამბოხში ისლამისტთა კვალი ვერ აღმოაჩინა.

და, მუქარით გაეჩუმებინა ტრაგედიის თვითმხილველები. მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული პირები მართლაც იმყოფებოდნენ ანდიჟანის ბაზურის მოედანზე მიმდინარე საპოტესტო აქციის დროს, საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნით, კარიმოვის ერთგული ჯარების მიერ იარაღის გამოყენება ხალხის წინააღმდეგ არც ადეკვატური და არც იმ საფრთხის შესაბამისი იყო, რომელსაც ერთად თავმოყრილი ხალხი წარმოადგენდა. "უზბეკეთის ხელისუფლება ცდილობს, მიჩქალოს მასობრივი ქლეტის ფაქტი, - აცხადებს "ჰუმან რაიტს ვორ"-ის აღმასრულებელი დირექტორი კენეტ როთი, - ჩვენი გამოძიება მომხდარის ასახვის პირველი მცდელობაა. მაგრამ, მხოლოდ სრულმასშტაბიან საერთაშორისო გამოძიებას (რასაკვირველია, ოფიციალურ დოკუმენტებზე დაყრ-

დნობით) შეუძლია ანდიჟანის ტრაგიკული მოვლენების სრული სურათი დაგვანახოს". აღსანიშნავია, რომ კარიმოვი დღემდე უარყოფს მომხდარ ტრაგედიამ ხელისუფლების პასუხისმგებლობას. ოფიციალური ტაშკენტის თქმით, შეტაკებების შემდეგ ანდიჟანში 173 ადამიანი დაიღუპა, რომელთა უმეტესობა უცხოური დაფინანსებით მოქმედი ისლამისტი ექსტრემისტები იყვნენ. თუმცა, "ჰუმან რაიტს ვორი" აცხადებს, რომ მან ვერ აღმოაჩინა მტკიცებულება ანდიჟანის ამბოხის მონაწილეთა შორის ისლამისტი ექსტრემისტების ყოფნის შესახებ. ორგანიზაციის ინფორმაციით, ანდიჟანში არც რელიგიური ხასიათის მოთხოვნები წამოყენებით - პირქით, თითქმის, ყველა თვითმხილველი ირწმუნება, რომ მოედანზე შეკრებილები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ სიღარიბის,

კორუფციისა და სამთავრობო რეპრესიების მისამართით. ამას გარდა, საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოკითხული მონაცემები ერთხმად აცხადებენ, რომ დაღუპულთა რიცხვი გაცილებით აღემატება უზბეკეთის ხელისუფლების ოფიციალურ მონაცემებს. "ჰუმან რაიტს ვორი" მოუნდოვებს აშშ-ს მთავრობას, შეწყვიტოს მოლაპარაკებები კარიმოვთან შეაზიურ ქვეყანაში ამერიკული სამხედრო ბაზის გრძელვადიანი განთავსების შესახებ; ასევე, ამერიკელ უფლებდამცველთა აზრით, ევროკავშირმაც უნდა შეაჩეროს უზბეკეთთან დადებული "პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების" მოქმედება მანამდე, ვიდრე ოფიციალური ტაშკენტი ანდიჟანში 13 მაისს მომხდარი მოვლენების დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიების ჩატარებას არ დასთანხმდება. 24 საათი

ფრანგებს და ჰოლანდიელებს გლობალიზაციის საფრთხე აპირებთ

